


အာဇာပိုင်း သမုဒ္ဒနပညာ

ကရိစ္စပေါ်ဖော်ဆုံး ပေါ်လောက်ရေး ဂုဏ်ဆုံးဒုဒ်

AUTHENTICATION
of Hadith • REDEFINING
THE CRITERIA



ISRAR AHMAD KHAN

စအော-၏ წို့ကြံ့ခို့ ပေါ်လောက်

ჰადისის ავთენტურობა
კრიტიკიუმის ხელმეორედ განსაზღვრა

ისრარ აპმად ხანი



International Institute
of Islamic Thought



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2021

კადისის ავტორულობა
პრიტჩერიუმის ხელმიწოდება ბანსაზღვრა (Georgian)
ისრარ აჭმად ხანი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.
1443ჰ/2021

Paperback ISBN: 978-9941-33-078-0

Authentication of Hadith: Redefining the Criteria (Georgian)

Israr Ahmad Khan

IIIT Books-in-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)

1436AH/2012CE

Paperback ISBN 978-1-56564-590-5

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა როლანდ შავაძემ
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორები:
ტარიელ ნაკაძე, თამაზ მგელაძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.-დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
ვასლა A-317
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით

საავტორო უფლება დაცულია. საერთაშორისო გამონაცემისას და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.

ნინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები უკუთვნის ავ-
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „ანივრასალი“, 2021

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი და ძირითადი პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, წარმოდგენილია გამარტივებული სახით - დაწერილია მოკლედ და მარტივად, ფართო მასებისთვის გასაგები ენით. თანმდევი რეზიუმეები გვთავაზობს დიდი პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი ნაშრომი მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

დოქტორ ისრარ აჰმად ხანის „ჰადისის ავთენტურობა: კრიტერიუმის ხელმეორედ განსაზღვრა“ სრული სახით 2010 წელს გამოქვეყნდა. იგი ეხება ძალზედ სენსიტიურ საკითხს - ჰადისების ავთენტურობას. ავტორი, განიხილავს რა უმთავრესი კრებულების შემდგენელების მიერ გამოყენებულ კრიტერიუმს, მიდის დასკვნამდე, რომ მთხოვთა ჯაჭვის უწყვეტობასა და სიზუსტეზე

კონცენტრირებამ, ნაცვლად ჰადისის ტექსტობრივი შინაარსის უტყუარობის დადგენისა, გამოიწვია ისეთი ჰადისების მართებულად ცნობა, რომლებიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სხვა ჰადისებთან და შუამავალს წარმოაჩენს მისთვის არადამახასიათებელი კუთხით, ან არ გამოხატავს და/ან ენინააღმდეგება ყურანისეულ მოძღვრებას; მეტიც, ის ინარჩუნებს სუნასთან დაკავშირებულ დარღვევებს, რომლებმაც შუამავლის გარდაცვალების შემდეგ მალევე იჩინა თავი. არაგონივრული იქნება იმ ფაქტის უგულვებელყოფა, რომ ბევრი მათგანი მიზანმიმართულ სიყალბეს შეიცავდა. ამ ქმედების მიზანი არის არა მარტო რწმენის გზავნილის არსის შერყვნაა, არამედ პოლიტიკური, სექტანტური, ეკონომიკური და თეოლოგიური მხარდაჭერის განმტიცებაც. როგორც პოლიტიკურმა, ისე რელიგიურმა განსხვავებულმა ხედვებმა, რომლებიც მომდინარეობდა იყო პროგრესული რელიგიის მოწინააღმდეგეთა მხრიდან, გამოიწვია დეზინფორმაციის ცნობილი კამპანია, რომელშიც ჰადისი ბრძოლის იარაღად გამოიყენებოდა.

ამასთანავე, ჰადისების არასწორად და ბოროტად გამოყენება სიახლე არ არის, დღევანდელ კომპლექსურ და არასტაბილურ სამყაროში, მოტყუებით და ცრუ ჰადისზე დაყრდნობით ექსტრემისტული ქცევის ლეგალურად გამოცხადება, ჩაგვრის გამართლება და ძალადობრივ საკითხებზე „ფათვის“ გაცემა არ უნდა იქნეს მარტივად აღქმული, რადგან ეს ის მოვლენაა, რომელიც საშიშ შედეგებს მოიტანს. დამატებით, გავრცელებული ანტიისლამური გრძნობების არსებობის პირობებში, რომ-

ლებიც დღევანდელ მეინსტრიმულ დისკურსში დომინირებს, მნიშვნელოვანია ცრუ ჰადისების საკითხის წინწამონევა. ისინი საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული და ისლამის ძალადობრივი და ჩამორჩენილი ბუნების წარმოჩენის მიზნით ბოროტადაა გამოყენებული. ისლამის მეცნიერებებში კარგად გაცნობიერებული ყველა მუსლიმი მკვლევარი ვალდებულია, პატიოსნად და დიდი შემართებით ამოძირკვლს აშკარად ცრუ ჰადისები, რომლებიც ხელს უწყობს ყალბი ინტერპრეტაციის გავრცელებას და ამასთანავე, ხელს უშლის ყურანისა და შუამავლის სუნას ჭეშმარიტების გააზრებას.

ისრარ აჰმად ხანი

„ჰადისის ავთენტურობა: კრიტერიუმის
ხელმეორედ განსაზღვრა“
შემოკლებული ვარანტი

ISBNhbk: 978-1-56564-449-6

ISBNpbk: 978-1-56564-448-9

2010

შესავალი

ისლამის სარწმუნოებრივი სისტემის ყველა ასპექტი ეფუძნება ყურანსა და სუნას. ყურანი არის ალლაჰისგან ზეგარდმოვლენილი სიტყვები (ს.ვ.ტ),¹ ხოლო ჰადისი პრაქტიკულ და მეთოდოლოგიურ განზომილებას ანიჭებს ყურანისეულ ბრძანებებსა და მითითებებს. ალლაჰმა შუამავალ მუჰამადს (ს.ა.ს.)² შემდეგი დავალება მისცა: ყურანის გზავნილები ხალხს ამცნე; განუმარტე ყურანში განცხადებული ჭეშმარიტება და ასწავლე ის მის მიმდევართ. ყურანის განმარტებად (*bayān*) მიჩნეულია ჰადისი და სუნა.

ამასთან დაკავშირებით, ქვემოთ მოცემული ასპექტები ჭეშმარიტია და ყურანშია განსაზღვრული: „და მორჩილ იყავით ალლაჰისა და შუამავლის, ეგებ შენყალებული იქმნეთ თქვენ“³ მორჩილება სავალდებულოა⁴ და განზრახ გულგრილობა სერიოზული დარღვევაა;⁵ შუამა-

¹ (ს.ა.ს) – სუბჰანუ ვა ტა'ნლა. დაე დალოცვილი იყოს ის და მისი ზემდგომობა აღიარებული. ითქმის ღმერთის დამოწმებისას.

² (سلام و علیه اللہ صلی: سلاملند ალლაჰ ალლაჰი ვა სალლაჰ) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამმად“ იქნება ნახსენები.

³ ყურანი – 3:132

⁴ ყურანი – 4:59

⁵. ყურანი-8:12—25.

ვალი არის ყველა ცხოვრებისეული დავის მსაჯული; ალლაპისა და შუამავლის მითითებებისთვის თავის არი-დება და მათი იგნორირება ცხოვრებაში წარუმატებლობის უდავო წინაპირობაა⁶ და ადამიანის ქმედებებს ყო-ველგვარ აზრს უკარგავს.⁷

თანამედროვე მუსლიმები ჰადისების საკითხთან მიმართებით ოთხ კატეგორიად იყოფიან: ისინი, ვინც მუსლიმის ცხოვრებაში ჰადისის აქტუალობას მთლიანად უარყოფენ; ისინი ვინც ავთენტურობის დადგენის გარეშე, ბრმად იღებენ ნებისმიერ ჰადისს; ისინი, ვინც პრაქტიკული მიზნებისთვის არჩევენ ჰადისებს; და ისინი, ვისაც შუამავლის სუნას სიწმინდის სჯერათ, და ყურადღებით ეკიდებიან ჰადისების სანდოობის განსაზღვას, განიხილავენ თუ რამდენად ლოგიკურია და რამდენად რელევანტურია ისინი ისლამურ ცხოვრებასთან, ასევე ცივი-ლიზაციასთან მიმართებაში.

დღეს, მუსლიმებს უფრო ნაკლებად აწუხებთ შუამავლის სუნას მყარი დაცვა, ვიდრე თავიანთ ფიქრებსა და საქმიანობაში ყურანის პრინციპებისგან აცდენა. მაგალითად, ნაკლებად წიგნიერი მუსლიმის მიერ ჰადისების და სუნას მიმართ უპირობო სიყვარული მას არასწორ გააზრებამდეც მიიყვანს, შემდეგ თავად არასწორ ინფორმაციას მიაწვდის სხვებს და ამგვარად, ავთენტურობის განსაზღვრის გარეშე, ხდება ყველაფერის დაჯერება, რასაც შუამავალს მიაწერენ. მუსლიმის ჩამორჩე-

⁶. ყურანი- 8:46

ნილობის უკან ერთ-ერთი ეს ფაქტორიც მოიაზრება, რაც ცხოვრების ყველა სფეროში მათ აკნინებს, მათ შორის სულიერ და რელიგიურ სფეროშიც.

დღეს მუსლიმურ სამყაროში იკვეთება ტენდენცია ყურანის იმ ლექსებისა და სამოციქულო ტრადიციების გამორჩევისა, რომლებიც ადამიანები პირადი კეთილდღეობისთვის ან ფარული ზრახვებისთვის შეიძლება გამოიყენონ. მაშინ, როდესაც შუამავლის ჰადისებსა და სუნას მიმართ დაბალანსებული მიდგომა გულისხმობს მხოლოდ იმ ჰადისებზე დაყრდნობას, რომლებიც მაღალი ავთენტურობით გამოირჩევა.

ჰადისთა კრებულები ოთხ კატეგორიად არის კლასიფირებული, რომლებიც ავთენტურობის მიხედვით არის რანჟირებული. ყველაზე ავთენტურად მიჩნეულია ალ-ბუხარის და მუსლიმის ნაშრომები; მცირეოდენ საეჭვო საკითხებს შეიცავს ათ-თირმიზის, ან-ნასა'ს და აბ्दუ დავუუდის თხზულებები; კრებულები, რომლებშიც ბევრი ჰრობლემური ჰადისია შეტანილი - ამგვარია იბნ მაჟას და აჰმადისა; დაბოლოს, კრებულები რომლებიც ბევრ სუსტ და გაყალბებულ გადმოცემას შეიცავს, ატ-ტაბარანისაა.

ჰადისების ავტორიტეტულ მცოდნეთა მტკიცებით, ჰადისის სანდოობა მთლიანად დამოკიდებულია მის გადმოცემთა ჯაჭვის ავთენტურობაზე. თითქმის საერთოდ

⁷. ყურანი 47:33

არ ექცევა ყურადღება თავად ჰადისის ტექსტის ავთენტურობის განსაზღვრით ჰადისის სანდოობის დადგენას. მუსლიმ სწავლულებს მიაჩნიათ, რომ თუ ჰადისის გადმომცემთა ჯაჭვი აკმაყოფილებს ხუთ დადგენილ კრიტერიუმს, მაშინ ის ავთენტურად უნდა ჩაითვალოს. ესენია: გადმომცემთა ჯაჭვის უწყვეტობა; მათი უმნიკვლო რეპუტაცია; უშეცდომოდ დამახსოვრება; ფარული ხინჯის არარსებობა; ნებისმიერი გადაცდომისგან დაცულობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი კრიტერიუმი ასევე ემსახურება ჰადისების სილმისეულ შესწავლას, ჰადისის მკვლევრები იშვიათად იყენებენ მათ ჰადისის ტექსტებზე მუშაობისას.

ამასთანავე, არაერთი მიზეზი არსებობს ჰადისების შესწავლისთვის ტექსტუალური კუთხით, რაშიც შედის განსხვავებული მოსაზრებები კონკრეტული გადმომცემების შესახებ და ზოგიერთი მთხოვნელის მხრიდან გადმოცემის სიზუსტის დაცვის უნარის ნაკლებობა, რადგანაც ჰადისის სწავლულებს სწამო, რომ შუამავალთან დაკავშირებული ტრადიციები არ არის გადმოცემული უშუალოდ შუამავლის სიტყვებით, არამედ ყურადღება გამახვილებულია საკუთრივ გზავნილის არსზე. ამან კი გარკვეული დაბნეულობა შეიძლება გამოიწვიოს.

დამატებით, ტექსტობრივი შეუსაბამობები ვლინდება მაშინ, როდესაც ერთი და იმავე საკითხის შესახებ კონკრეტული ჩანაწერები განსხვავდება როგორც სიტყვიერად, ისე შინაარსობრივადაც. მკვლევრები ზოგადად თანხმდებიან, რომ მსგავსი განსხვავებები გადმოცემისას

დაშვებულ შეცდომებს კი არ წარმოადგენს, არამედ იმითაა განპირობებული, რომ შუამავალი ამა თუ იმ ვითარებაში განსხვავებულ განცხადებებს აკეთებდა. მეორე მიზეზი არის სანდო გადმომცემთა ცდომილება: შესაძლოა გადმომცემთა ჯაჭვი აბსოლუტურად სანდო იყოს, მაგრამ თავად გადმოცემული ტექსტი შეიცავდეს აშკარა პრობლემებს. ტექსტის სიღმისეული შესწავლის ნაცვლად, რომელიც ხარვეზის შესაძლო წყაროა, ჰადისის განმმარტებელი ხშირად გადმომცემებს ადანაშაულებენ. ნაცვლად ამისა, ტექსტში არსებული ხარვეზების გამოვლენისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული კრიტერიუმები.

გადმოცემების გასწორების პროცესი ჰადისების სრულყოფილი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. შუამავლის თანამოაზრების დროსაც კი შუამავლის ნათექვამისა და ნამოქმედარის ჩანერას სერიოზული ყურადღება ექცეოდა, განსაკუთრებით სიზუსტის დაცვისათვის. შუამავლის ზოგიერთი გამონათქვამი არასწორად იყო გადმოცემული, ხოლო შემდეგ ექსპერტების მიერ იქნა ჩასწორებული, თუმცა დროთა განმავლობაში ამას მაინც მოჰყვა გაუგებრობები.

ჰადისის თანამედროვეობასთან მისასადაგებლად არსებითად მნიშვნელოვანია მისი საფუძვლიანი შესწავლა. ყურანი და ჰადისები შუამავლის სწავლებებს მოკლედ გადმოსცემს, მიზანი კი მათი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებაა. შესაბამისად, ყურანისა და ჰადისების ინტერპრეტაციები ყურადღებით უნდა იქნეს

შესწავლილი, ტექსტი კი - რეინტერპრეტირებული.

სიღრმისეული შესწავლისთვის კიდევ ერთი მიზეზს წარმოადგენს ჰადისის მეთოდოლოგიური განსაზღვრა: შუამავალთან დაკავშირებული გადმოცემები შეიძლება იყოს კლასიფიცირებული, როგორც საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო, სავალდებულო და არასავალდებულო. სავალდებულო ჰადისები უკავშირდება ყურანს, ადამიანის საღ აზრს და სუნას, ისტორიულ განგრძობა-დობასთან ერთად (მუთავჯორი). თუ სუნა და ყურანი ერთმანეთან წინააღმდეგობაში მოდის, მკვლევარებმა მათ შორის კომპრომისი უნდა გამონახონ. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ჰადისი ავთენტურობის გამორჩეულ სტატუსს კარგავს. მხოლოდ ავთენტური ტექსტი შეიძლება იყოს გამოყენებული სახელმძღვანელოდ, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე პრაქტიკულად.

რაც შეეხება ზოგიერთი ჰადისის ტექსტის გაყალბების შესაძლებლობას, მათი რეალური რიცხვი ათასობითაა. ჰადისების მკვლევარებმა დიდი ძალისხმევა გასწიეს ცრუ ჰადისებისგან ჭეშმარიტი ჰადისების განსა-ცალკევებლად, თუმცა მათი დიდი ზრუნვისა და ძალისხმევის მიუხედავად, 100%-იან სიზუსტეს ვერ მიაღწიეს. შესაბამისად, გადმოცემთა ჯაჭვზე სანდოობიდან გამომდინარე, არაერთი მცდარი ჰადისი ჯერ კიდევ უტყუარად ითვლება. ჩვენ ყველაზე პოპულარულ წყაროებში არსებული ცრუ ჰადისების შემოწმების სხვა ალტერნატიული გზა არ გვაქვს, გარდა კონკრეტული ჰადისების ტექსტის შინაარსის სიღრმისეული გადამოწმებისა.

არაერთი წინააღმდეგობა არსებობს მუსლიმ სამართალმცოდნეთა შორის მუსლიმის ცხოვრების ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, რადგანაც კონკრეტული ჰადისის ზოგიერთ ტექსტს უპირატესობა ენიჭება სხვებთან შედარებით. საბოლოოდ, ჰადისის საფუძვლიან შესწავლასთან დაკავშირებით, მკვლევართა პასუხისმგებლობა და ამოცანები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განსაზღვრული. ჰადისებს განსაკუთრებულად საკრალული ადგილი უჭირავს ისლამურ ცხოვრებაში, მაგრამ ეს სიწმინდე ექსკლუზიურად მოციქულიდან დაკავშირებულებისთვისაა განსაზღვრული და არ უნდა ენიჭებოდეს არაავთენტურებს.

შუამავლის სუნას ჩანაწერებს შორის აშკარა წინააღმდეგობების იდეა დისკომფორტს უქმნის ნებისმიერ დაინტერესებულ მუსლიმს. აღ-ბუხარისა და მუსლიმის მიერ ჩანერილი ჰადისების კითხვისა და ანალიზის დროს, შემდეგ პრობლემურ საკითხებს ვაწყდებით: ჰადისის კომენტატორებს არ აქვთ გამოყენებული ჰადისის განმარტების დამკვიდრებული და უნივერსალურად განსაზღვრული პრინციპები, ასევე ჰადისის განხილვის მიდგომა არ აქვთ ზუსტად დაბალანსებული, ყურადღება გამახვილებულია გადმომცემთა ჯაჭვზე და არა ჰადისის ტექსტზე.

თავი პირველი

შუამავლის სუნას გაყალბება

გამომწვევი ფაქტორები და გამოსასწორებელი ლონისძიებები

ჰადისის შესწავლისას დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, თუ ჰადისის გადმომცემთა ჯაჭვი (ისნად) ავთენტურია, მაშინ ჰადისიც ავთენტურად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი შესაძლოა პრობლემური იყოს. სუნას ტექსტებში არსებული აშკარა შეუსაბამობების ინტერპრეტაცია შესაძლებელია, მაგრამ ამ ორი წყაროსგან მიღებული გადმოცემის არასანდოდ გამოცხადება თითქმის მიუღებელ ქმედებად ითვლება.

სუნაში არსებული შინაარსობრივი და ტექნიკური ხასიათის ფაპრიკაციები შუამავლის გამონათქვამებისა და ნამოქმედარის გაყალბების ტოლფასია, რაც ნებსით ან უნებლიერ შეიძლება მოხდეს. შუამავალთან დაკავშირებული გადმოცემების გაყალბება ამ თავში ისტორიული პერსპექტივიდან არის განხილული, ასევე თანმიმდევრობით განიხილება ფაქტორები, რომლებმაც ეს გაყალბებები გამოიწვია და დასახულია გამოსწორებისთვის აუცილებელი ლონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია საყოველთაოდ ცნობილი კომპეტენტური მუსლიმი პირების მიერ. ჰადისის მკვლევრებს იდენტიფიცირებული აქვთ არაერთი გადმოცემა, რომლებიც აპოკრი-

ფულია, ხოლო ზოგი მათგანი კი ყალბია. როდესაც ავტორიტეტული მკვლევარები იმოწმებენ ზოგიერთ გადმომცემს გადმომცემთა ჯაჭვიდან (ისნპდ), რომელებიც იყენებენ აღმატებულ ან გაზვიადებულ გამონათქვამებს, ანაც ერთხარისხოვან ზედსართავებს, ეს უპირობოდ მიუთითებს გაყალბებაზე. ჰადისის მკვლევარები ამა თუ იმ გადმოცემის მიუღებლად გამოცხადების დროს რამდენიმე ტერმინს (არაბულად) იყენებენ, მათ შორისაა „ყალბი,“ „ცრუ“ და „უსაფუძვლო.“

შუამავლის ჰადისების გაყალბება მესამე ხალიფას, ‘უსმანის, მმართველობის შუა პერიოდში დაიწყო, ხოლო ‘ალისა და მუ’ნვიდას მმართველობის პერიოდში მაქსიმუმს მიაღწია და გაგრძელდა მუსლიმური ისტორიის მოგვიანო წლებში აბასიანთა პერიოდამდე. ეს წინასწარგანზრახული ფაბრიკაციები, ჩანს, რომ შეიქმნა მოციქულის სახელით მათ მიერ, ვისაც სურდა ზეგავლენა მოეხდინა სახალხო აზრზე სახალიფოსა და მისი მემკვიდრეობის წესის შესახებ. ისინი ჩირქს სცხებდნენ ისლამის სწავლების ორიგინალურობას, ან ცდილობდნენ საკუთარი ინტერესების განხორციელებას. მუსლიმთა იმპერიის სულ უფრო გაფართოების პირობებში პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას მესამე ხალიფის ‘უსმანის მიმართ, მისი მკვლელობა მოჰყვა. ხოლო, ‘ალის მეოთხე ხალიფად გახდომამ გაზარდა დაპირისპირება წინამძღვებს შორის, რასაც თემის სამ ძირითადად პოლიტიკურ პანაკად გახლეჩა მოჰყვა, გამოიწვია სამხედრო კონფლიქტი და შექმნა უნდობლობის ატმოსფერო.

პოლიტიკური ფრაქციები ელწვოდნენ მუსლიმთა უმრავლესობის გულის მოგებას, ამის განხორციელებას კი ნაწილობრივ ცდილობდნენ თავიანთი პოზიციების გა-სამყარებლად მოციქულის ჰადისების გამოგონებით. იმ მშფოთვარე ხანებში გამოგონილი ტრადიციებით ხდებოდა რჩეული ლიდერების გაკიცხვა ან შექება. მაგალითად, შესამჩნევია, თუ როგორაა განდიდებული ხალიფა მუ'ავია გამოგონილი შესაბამისი ჰადისებით, ხოლო ზოგჯერ პირიქით, დაკნინებულია სხვა ჰადისებში. ჰადისები ასევე ყალბდებოდა შუამავლის სახელგანთქმული ცოლის, ‘ჰიშას, სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდაც, რომელიც შუამავლისა და მის ქორწინებას ეხებოდა: „შუამავალმა თქვა, საზოგადოება, რომელსაც ქალი ლიდერი ჰყავს, წარმატებას ვერ მიაღწევს.“⁸ მეტიც, შუამავლისთვის მიწერილი არაერთი მცდარი ტრადიცია განადიდებს ხალიფა ‘ალ-იბნ აბუ ტალიბს, მაგალითად იმის მტკიცებით, რომ ‘ალ-ისადმი მზერა ერთგულების გამოხატულებაა. თუმცა აქვე არსებობს ‘ალ-ის საწინააღმდეგო გაყალბებული გადმოცემებიც, თითქოსდა შუამავალს მისთვის ეთქვას:, „ნინამძღოლობა შენი საქმე არ არის, არც შენი რომელიმე შთამომავალთაგანის.“⁹

ისლამისა და მუსლიმების მიმართ მტრულად განწყობილმა ჯგუფმა, რომლებიც ისლამის ისტორიაში ცნობილი არიან როგორც „ფარისევლები“, გარეგნულად აღი-

⁸. Ibn al-Jawzi, Abd al-Rahman ibn Ali, “Kitab al-Mawduat” (Beirut: Dar al Kutub al-illmiyyah, 1995), vol.1, p.325.

⁹. Ibid., vol.2, p.290.

არეს ისლამი, თუმცა შინაგანად მტრული განზრახვით, ავრცელებდნენ ცრუ რწმენებს. მათ შექმნეს ყალბი ტრადიციები ისლამური ცხოვრების უმრავლეს სფეროში. ერთ-ერთ ამგვარ მწვალებელს გარდაცვალებამდე 4000 ყალბი ჰადისი აქვს გადმოცემული, რომლებითაც შუამავლის სახელით კანონიერი უკანონოდ, ხოლო უკანონო კანონიერად აქვს გამოცხადებული.¹⁰ მედინაში არსებულმა ზოგიერთმა განაწყენებულმა ფრაქციამ ყალბი ჰადისების შეთხზვით განახორციელა ისლამის ფუნდამენტური სწავლების საბოტაჟი, რითიც შეეცადა მუსლიმთა ერთიანობის დარღვევას. ებრაელმა იბნ საბა'მ, რომელმაც ისლამი მიიღო, შუამავალის უამრავი ჰადისი გააყალბა და მუსლიმურ საზოგადოებაში გაავრცელა. ისლამის ოპონენტებმა, შექმნეს ყალბი ტრადიციის არაერთი თვალსაჩინო მაგალითი. მათ შორისაა ზაქათის გადაუხდელობის წახალისება, ცვლილება ისლამის კანონებში მემკვიდრეობის შესახებ და მუსლიმთა შორის ქორწინების დაგმობა.

მუსლიმების ტერიტორიის საბოლოო გაფართოებამ ახალი სამფლობელოების ჩართვით გამოიწვია მკვლევართა შორის ახალი დებატები და საპირისპირო ხედვები, რომლებიც უკავშირდებოდა ყურანის პოზიციას, ადამიანის ბედისწერის წინასწარ განსაზღვრას, ადამიანის თავისუფლებას, ცოდვის ბუნებას და სხვა საკითხებს. დებატებში მონაწილენი და ცალკეული შეხედულებების მოხრენი, როგორებიც იყვნენ ღვთისმეტყველთა ჯგუფების წევრები, მიზნად ისახავდნენ შუამავლის სა-

¹⁰. Ibid., p.15.

ხელთან დაკავშირებული ყალბი ტრადიციების მართებულობაში დაერწმუნებინათ საზოგადოება ისეთ საკითხებში, როგორიცაა მაგალითად რწმენის ბუნება.

ისლამის ისტორიის ადრეულ პერიოდში სამართლებრივი ქიშპი კიდევ ერთი სფერო იყო, რომელმაც წარმოქმნა ჰადისთა შეთხზვის ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იურისტების მოსაზრებათა შორის განსხვავება არსებობდა, ისინი ისლამურ კანონებს საკუთარ იჯთიპადზე დაყრდნობით გადმოსცემდნენ და ხალხს ასე ხელმძღვანელობდნენ. სამწუხაროდ, ამ დიდი იმამებისა და სწავლულების მიმდევრები მათ შორის უმნიშვნელო განსხვავებებს არსებითად მიიჩნევდნენ და ამის გამო დაიწყეს საკუთარი შესაბამისი სამართლებრივი სკოლის პოზიციების გასამყარებლად ჰადისების ფაბრიკაცია. ერთერთი ასეთი გაყალბების თანახმად, თითქოსდა შუამავალს უთქვამს: „თუ ვინმე ნამაზის ლოცვისას ხელებს აღმართავს მისი შესრულებული ნამაზი არ იქნება მიღებულიო“.¹¹

ჰადისების გაყალბების სხვა საფუძვლები იყო: პროპაგანდა სარგებლის მიღების მიზნით, ამბიცია ან სხვადასხვა ისლამური სახელმწიფოს დინასტიების მიერ გამოვლენილი სიხარბე სახელმწიფოს კონტროლისათვის. ისლამის პირველ სამ საუკუნეში, როდესაც ისლამური მმართველობა მსოფლიოს დიდ არეალზე გავრცელდა, საქმოსნებმა შუამავლის ტრადიციების თავიანთი ცნობადობის ამაღლე-

¹¹. Ibid., vol.2, p.22.

ბისთვის გამოყენება დაიწყეს. არაერთი ჰადისი გაყალბდა კომერციული დანიშნულების საქონლის ხარისხის გაზრდი-სათვის, როგორიცაა: ბრონეული, ფინიკი, ნუში და სხვა მრავალი. სხვებმა საკუთარი თავის წარმოჩენა მთხრობე-ლებად სცადეს მეჩეთებში ყალბი ჰადისების წარმოთქმით მიმდევართა მოსაზიდად, ანდა რელიგიურ პირებად საზო-გადოებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

შუამავლის ჰადისების გაყალბების პრობლემის მო-საგვარებლად მუსლიმმა მკვლევარებმა შემდეგი ღონის-ძიებები გაატარეს: შუამავლის ჰადისებში შეიმუშავეს გადმომცემთა ჯაჭვის (ისნად) სისტემა; შეისწავლეს გად-მომცემები და გამოიყენეს მხოლოდ სანდო წყაროები; შეკრიბეს გადმომცემთა ბიოგრაფიები; შეადგინეს შუა-მავლის უტყუარი ჰადისების კრებულები; ასევე შეკრი-ბეს არასანდო და ყალბი ჰადისები. ისლამის ადრეულ პერიოდში წარმოიქმნა ტენდენცია, როცა ადამიანები არაერთ ამბავს შუამავლის სახელით გადმოსცემდნენ, როთაც მუსლიმთა უმმას დიდი წინამდებრებს აიძულებ-დნენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებე-ბის მიღებას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თითოეულ ჰა-დისს წინ უნდა ერთვოდეს გადმომცემთა ჯაჭვი გადმო-ცემულ ტექსტთან ერთად.¹² ხოლო გადმოცემული ჰადი-სი უნდა მოდიოდეს მხოლოდ სანდო წყაროებისგან.¹³

ჰადისების უამრავ გადმომცემთა ცხოვრების კვლე-

¹². Muslim, Ibn al-Hajjaj al-Qushayri, Sahih (Beirut: Dar Ihya al-Turath al- Arabi, 2000),

“Muqaddimah,” report no. 1–4, p.51.

¹³. Ibid.

ვა მეტად დელიკატური საქმე იყო, ისე როგორც მათი ავთენტურად, სუსტად, არასანდოდ თუ ყალბად გამოცხადების საკითხი. უამრავი თვალსაჩინო მკვლევარი იყო ჩართული პადისის გადმომცემთა პოზიციის კვლევაში. გულდასმით განხორციელებული კვლევებით გამოვლინდა, თუ ვინ იყო სანდო და ვინ - არა. პადისის გადმომცემები დაყვეს ოთხ კატეგორიად: ისინი, ვისი ავთენტურობა ერთსულოვნად იყო აღიარებული; ისინი, ვისი სისუსტეც ეჭვს არ იწვევდა; ისინი, ვისი გადმოცემებიც წინააღმდეგობას ქმნიდა მკვლევრებს შორის; ისინი, ვინც საყოველთაოდ მატყუარებად იყვნენ აღიარებული.

შუამავლის სახელთან დაკავშირებული გაყალბებული პადისების უარყოფა საუკუნეების წინ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ სიცრუის იარლიყი დაედო, პადისების მკვლევარებმა დაიმახსოვრეს და შემდეგ თაობას გადასცეს მკაფიო მითითებით, რომ ისინი იყო არასანდო, ყალბი ტრადიციები. მკვლევართა მომდევნო თაობებმა შეინახეს ისინი, რათა მომავლის სწავლულებს შეეხსენებინათ მათი სიყალბის შესახებ. თითოეული ნაშრომი შეიცავს დეტალურ და საფუძვლიან მოწმებებს მათი სიყალბის დასადასტურებად. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გადმომცემთა ჯაჭვს, რომელიც მოტანილი იყო ყველა ჩანქრილ ტრადიციაში და იმას, თუ როგორ იყენებდნენ სანდო წყაროების სახელებს თავიანთ ჯაჭვებში.

თავი მეორე

მუსლიმ მკვლევართა წვლილი

ჰადისის ავთენტურობის დადგენაში

ამ თავში განხილულია მკვლევართა წვლილი ორი პერსპექტივით: გადმომცემთა ჯაჭვი და ტექსტი. თითო-ეული ჰადისი გადმომცემების (სანად) და შინაარ-სის/ტექსტისაგან (მათხ) შედგება. სანად, ვრცელი თუ მოკლე, ეხება წყაროთა სახელებს, რომელთა გადმოცე-მების საფუძველზე განხორციელდა შუამავლის ნათქვა-მებისა და ქმედებების ჩაწერა. მათნ საკუთრივ გადმო-ცემის ტექსტია - შუამავლის ნათქვამი და ნამოქმედარი. შუამავლის სიცოცხლესა და მისი გარდაცვალებიდან სა-მი ათწლეულის განმავლობაში გადმომცემთა სანდოო-ბასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ დასმულა. ამ დროის განმავლობაში, მთელი ყურადღება ჰადისების ტექსტს ეთმობოდა.

ჰადისების ავთენტურობის გადამოწმების პრაქტიკა დაინერგა პირველი მუსლიმი ხალიფას, აბუ ბაქრის პე-რიოდში. შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მან უარი თქვა ერთი პირის გადმოცემული ჰადისის ჭეშმა-რიტად ცნობაზე, თუ იგი არ იყო დადასტურებული შუა-მავლის სხვა თანამოაზრის მიერ. შუამავლის თანამოაზ-რეთა თაობის მკვლევარები ჰადისის დამატებითი გადა-მოწმების გარეშე მისი სანდოდ აღიარებისგან თავს იკა-

ვებდნენ.¹⁴ შემდგომი თაობების მკვლევარები ჰადისს ავ-
თენტურობას მხოლოდ მაშინ ანიჭებდნენ, როდესაც ყვე-
ლა გადმომცემის მაღალი სანდოობა გამოვლინდებო-
და.¹⁵ ისლამის პირველი საუკუნის მეორე ნახევრიდან
გადმომცემთა ჯაჭვმა და მათ შესახებ შედგენილმა ბი-
ოგრაფიულმა ლექსიკონებმა ჰადისის ავთენტურობის
დადგენაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ეს ცოდნა
ჰადისის გადმომცემთა შესახებ ამიერიდან სულ უფრო
მეტად გამოიყენებოდა ჯაჭვის ავთენტურობის განსაზ-
ღვრაში. თუ გადმომცემთა ჯაჭვი სანდოდ მიიჩნეოდა,
მაშინ მათ მიერ გადმოცემული ჰადისი ავთენტურად ით-
ვლებოდა. გადმომცემთა ჯაჭვთან დაკავშირებული ნე-
ბისმიერი პრობლემა ჰადისის სისუსტეს ან არასანდოო-
ბას მიანიშნებდა.

ჰადისის ავთენტურობის დადგენა საუკუნე-ნახევ-
რის განმავლობაში ვერბალური ფორმით ხდებოდა. უკე
ალ-ბუხარის პერიოდში არაერთი წერილობითი ფორმის
კრებული არსებობდა, თუმცა ეს ნაშრომები უამრავ
პრობლემას შეიცავდა. ალ-ბუხარის ურთულესი მისია
იყო ნაშრომის შექმნა, რომელშიც ყველაზე ავთენტური
ხელმისაწვდომი ჰადისები შევიდოდა. მას 600 000 ჰადი-
სისგან მხოლოდ სანდო უნდა შეერჩია.¹⁶ ხოლო მუსლიმ-
მა ჰადისები დაახლოებით 300 000 გადმოცემიდან შეარ-

¹⁴. Fallatah, Umar ibn Hasan Uthman, Al-Wad fi al-hadis (Damascus: Maktabah al-Ghazaly, 1981), vol.1, p.180.

¹⁵. Ibid.

¹⁶. Kamil Muhammad, Muhammad Uwaydah, Alam al-Fuqaha wa al-Muhaddisiin: Al-Imam al-Bukhari (Beirut: Dar al-Kutub al-Ilmiyyah, 1992), p.9.

ჩია.¹⁷ ამ და შემდგომ შექმნილ სხვა ნაშრომებში, ჰადი-სის ავთენტურობა გადმომცემთა ჯაჭვის მიხედვით გა-ნისაზღვრებოდა. თუმცა, არ არსებობს ისეთი ნაშრომი, რომელშიც ჰადისის ავთენტურობა ეფუძნებოდა, რო-გორც გადმომცემთა ჯაჭვის, ასევე ტექსტის სანდოობის შესწავლას. ტექსტობრივი პერსპექტივით, კონკრეტულ ჰადისებთან დაკავშირებული გაბნეული კომენტარები და კვლევები შესაძლოა უკავშირდებოდეს ზოგიერთ მკვლე-ვარს, თუმცა მათ აკლდა მეცნიერული ლეგიტიმურობა.

ჰადისების ექსპერტების მიერ შემუშავდა ხუთი სა-ყოველთაოდ მიღებული კრიტერიუმი, რომელებიც ჰადი-სის დამაჯერებლობას და ავთენტურობას განსაზღვრავს: გადმომცემთა ჯაჭვის უწყვეტობა;¹⁸ გადმომცემთა უმ-ნიკვლო რეპუტაცია;¹⁹ გადმოცემის სიზუსტე;²⁰ სრულ-ყოფილება;²¹ ნორმის დარღვევისგან დაცულობა.²² თუ ჰადისი აკმაყოფილებს ამ ხუთ კრიტერიუმს, ის ავთენ-ტურად ცხადდება. სუსტი ჰადისი ვერ აკმაყოფილებს

¹⁷. Kamil Muhammad, Alam al-Fuqaha wa al-Muhaddis”n: Muslim ibn al- Hajjaj (Beirut: Dar al-Kutub al-ilmiyyah, 1995), p.14.

¹⁸. Ibn Kathir, Abd al-Fida Ismail, Al-Bais al-hathith, 4th edn. Ahmad Muhammad Shakir, ed. (Beirut: Dar al-Kutub al-ilmiyyah, 1994), p.20.

¹⁹. Tahan, Mahmud, Taysir Mustalah al-hadis (Kuwait: Maktabah Dar alTurath, 1984), p.146.

²⁰. Ibid.

²¹. Al-Suyuti, Jalal al-Din, Tadrib al-Rawii (Beirut: Dar al-Kutub al-ilmiyyah, 1989), vol.1, p.252. Al-Khair Abadi, Muhammad Abul Laith, Takhrij al-Hadis: Nash’atuhu wa Manhajuhu (Kuala Lumpur: Dar al-Shakir, 1999), pp.268–274

²². Ibn Kathir, Abd al-Fida Ismil, Al-Baith al-Hasis, 4th edn. Ahmad Muhammad Shakir, ed. (Beirut: Dar al-Kutub al-ilmiyyah, 1994), p.19

ავთენტურობის მოთხოვნებს.²³ ჰადისის გადმომცემთა ჯაჭვი უწყვეტი უნდა იყოს, ჰადისი რომ სანდოდ ჩაითვალოს; არ შეიძლება რომელიმე მათგანი აკლდეს გადმომცემთა ჯაჭვს. ყველა გადმომცემს ჰადისი პირადად უნდა ჰქონდეს მოსმენილი უშუალოდ მისი წინამორბედი გადმომცემისგან. თითოეული ჯაჭვი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს შუამავალს ან მის თანამოაზრებს. გადმომცემთა ჯაჭვის წევრი უნდა იყოს კეთილმორწმუნე მუსლიმი და სათანადო ავტორიტეტის მქონე. მისთვის უნდობლობა უნდა გამოეცხადებინათ, თუ ის იქნებოდა ურწმუნო, ფარისეველი, გონიერააშლილი და ბიოლოგიურად უმნიშვარი. დაბოლოს, გადმომცემს უნდა ჰქონოდა კარგი მეხსიერება და გაგონილის დამახსოვრების უნარი.

ალ-ბუხარი და ალ-მუსლიმი ითვლებიან ყველა დროის ყველაზე თვალსაჩინო და პატივცემულ ჰადისების მკვლევრებად. მათ მიერ შემუშავებულმა კლასიფიკაციის და კვლევის მეთოდმა, რომელიც ეფუძნება კარგად განსაზღვრულ კრიტერიუმს, საფუძველი ჩაუყარა ჰადისის ავთენტურობის განსაზღვრის დღეისათვის ცნობილ მეთოდოლოგიას. ჰადისის ავთენტურობის განსაზღვრის სფეროში მათ ჰქონდათ მასწავლებლებისა და გზის გამკვალავების სტატუსი.

იმამი ალ-ბუხარი წარმოშობით დღევანდელ უზბეკეთიდან იყო. მან გულდასმით შეისწავლა გადმომცემთა ჯაჭვი ჰადისების ჩართვამდე საკუთარ ნაშრომში, რომე-

²³. Ibid., p.42.

ლიც ყველაზე სანდო კრებულად არის მიჩნეული. ასევე ალ-ბუხარის მეთოდოლოგიას მიჰყვა ირანელი იმამი მუსლიმი, თუმცა მუსლიმის ნაშრომებში გადმომცემთა ჯაჭვი პრობლემურია. მუსლიმის ნაშრომი გამორჩეულია ჰადისების განლაგების განსაკუთრებული სტილით, რომელშიც ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ავთენტური გადმოცემები ერთადაა თავმოყრილი და არაა აღრეული ალ-ბუხარის ნაშრომის მსგავსად.

კომპეტენტური პირები ჰადისის ავთენტურობას არ განსაზღვრავდნენ უნივერსალური კრიტერიუმის საწინააღმდეგო მეთოდებით. ალ-ბუხარი და მუსლიმი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჰადისის გადმომცემთა ჯაჭვის ავთენტურობის განსაზღვრა თავად ტექსტის ავთენტურობას ადასტურებდა. შესაბამისად, ისინი გულდასმით სწავლობდნენ გადმომცემთა ჯაჭვს. მაშინაც კი, როდესაც ისინი ჰადისების შესახებ ნაშრომებს აკრიტიკებდნენ, ეს კრიტიკა მხოლოდ გადმომცემთა ჯაჭვის ანალიზის პერსპექტივიდან იყო. მხოლოდ მცირე რაოდენობით მკვლევრებმა შეიტანეს წვლილი ჰადისის ავთენტურობის დადგენაში ტექსტის კვლევის მეშვეობით და შეცადნენ ამ მიზნით კრიტერიუმების შემუშავებას.

სწავლულმა მისფირ გურმ ალლაჰ ალ-დუმავნიმ მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, რათა თვალსაჩინო გაეხადა შუამავლის თანამოაზრეების მიერ ჰადისების კვლევისას ყურანზე დაყრდნობა. ის ამ მაგალითებს ჰადისის მკვლევრების მიერ გამოყენებულ მეთოდებზე მიყოლით მიუახლოვდა. ამ მეთოდით ჰადისის ავთენტუ-

რობა განისაზღვრებოდა ყურანით და ქვემოთ მოცემულ საკითხთა შორის შედარებებით. ეს არის ცალკეული ჰა-დისები, შედარებით სანდო ჰადისები, დადგენილი ისტო-რია, დაუდასტურებელი სიტყვებისა და მნიშვნელობე-ბისგან თავისუფლება, ისლამური კანონის ფუძემდებლუ-რი წესები და პრინციპები, მკრეხელობისა და აბსურდუ-ლობისაგან დაცულობა.

ჰადისის ტექსტებთან დაკავშირებული მუსლიმი იურისტების მიდგომის განხილვისას დუმაანიმ კრიტერი-უმად აიღო ყურანი, სუნა, მუსლიმი თემის ერთსულოვა-ნი აზრი, შუამავლის თანამოაზრების მოღვაწეობა, ლო-გიკური ანალოგიები, ზოგადი პრინციპები და ცალკეუ-ლი ტრადიციების ზეგავლენა. საბოლოოდ, შუამავლის თანამოაზრეთა პერიოდიდან მოყოლებული, მუსლიმი მკვლევრების განსაკუთრებული ყურადღება შუამავლის ჰადისების დაცვასა და ავთენტურობის განსაზღვრას ეთმობოდა. თავდაპირველად ჰადისი შეისწავლებოდა ორივე კუთხით - გადმომცემთა ჯაჭვი და ჰადისის ტექ-სტიც. მე-2 და მე-3 საუკუნეებში, როდესაც ჰადისის შე-სახებ დიად ნაშრომთა კრებულები შეიქმნა, მკვლევა-რებმა შეიმუშავეს გარკვეული კრიტერიუმი, რომელშიც ჯაჭვის შესწავლა ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. „ულუმ ალ-ჰადის“ მკვლევარები ჰადისის ტექსტობ-რივი შესწავლის პრინციპის შესახებ საუბრობდნენ. მათ-გან ყველაზე ცნობილი ნაშრომები ეკუთვნით იბნ ალ-ჯაუზის, იბნ ალ-კადიმს და ალ-დუმაანის.

თავი მესამე

ყურანი და ჰადისის ავთენტურობის დადგენა

ამ თავში ჰადისი განხილულია ყურანის პრინციპებისა და მიწერილობების მიხედვით. მუსლიმი მკვლევარები ერთსულოვანნი არიან ყურანის ადგილთან დაკავშირებით ჰადისთან მიმართებაში იმ თვალსაზრისით, რომ თუ შუამავლის ჰადისი ეწინააღმდეგება ყურანს, ის უარყოფილი უნდა იყოს, როგორც მიუღებელი. ამგვარად, ვინაიდან შუამავლის გამონათქვამები და ნამოქმედარი „ბაჟნს“ (ახსნა-განმარტებას) გამოხატავს, ორივე მათგანმა, ყურანმა და „ბაჟნმა“, ერთმანეთი უნდა შეავსონ.

სურა აღ-ნისას 59-ე აია მორწმუნებს მოუწოდებს, რომ ალლაჰი და შუამავალი ნებისმიერი სადაცო საკითხის მსაჯული გახადონ. ყურანისეული გამოცხადებების, შუამავლის გამონათქვამებისა და ნამოქმედარის, ისლამური კანონების საკითხებთან დაკავშირებით მუსლიმები ხშირად გადიოდნენ კონსულტაციებს შუამავლის ცოლთან, ‘ა’იშასთან. ჰადისებთან დაკავშირებით მისი მიღებომის მიხედვით, ისინი არასოდეს უნდა ყოფილიყო ყურანის ან იმის საწინააღმდეგო, რაც შუამავალს ჰქონდა ნათქვამი. შესაბამისად, გადმოცემის თანახმად, მან შუამავლისთვის მიწერილი არაერთი ყალბი ჰადისი უარყო. გაყალბების არაერთი მაგალითი ფოკუსირებულია შუამავლის განცხადებებზე, ასევე შუამავალ აბრაამისთვის

მიწერილ გამონათქვამებზე და ისეთ განმარტებებზე, როგორებიცაა: ადამიანის ბედისწერის წინასწარი განსაზღვრა; ადამიანთა ნამოქმედარი, რომელიც ხელს შეუშლის სამოთხეში შესვლაში; ისლამის მიღებისათვის ძალდატანება; მოსეს ძალაუფლება, რომლითაც სიკვდილი შეაფერხა; ევას მაგალითის მოხმობა, როგორც ქალების მიერ ქმრების ღალატის საწყისი ნიმუშისა და სხვა.

თავი მეოთხე

რაციონალური ავთენტური ტრადიციებით ჰადისის სანდოობის დადგენა

ეს თავი ეხება შუამავლის სრულად ავთენტური ტრადიციების გამოყენებით ჰადისების ტექსტუალურ კვლევას. მორჩმუნებისთვის შუამავალს მსაჯულის ადგილი უკავია (ყურანი-4:65), რომლის ვერდიქტი საბოლოოა (ყურანი-33.36). ყურანის განმარტებებით, ალლაჰის ბრძანებების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვით, მისი მიმდევრების დახმარებითა და მათი განსჯით, ასევე პირადი ცხოვრების ისლამის პრინციპებით წარმართვით, შუამავალი თავის მისიას საბოლოო განხორციელებამდე ორ ათწლეულზე მეტხანს ასრულებდა. მოიაზრებოდა, რომ ისლამური მემკვიდრეობის არსებობა მისი გარდაცვალების შემდეგაც უნდა გაგრძელებულიყო,

თუმცა მათ, ვინც მხოლოდ პირად სარგებელს ეძიებდა, ამ წმინდა პრინციპებს უღალატეს. შედეგად, მავანთა პირადი სურვილები თუ ახირებები შუამავლის სახელით ვრცელდებოდა. ასეთ სიტუაციაში, ყურანი საყოველთაოდ ცნობილ ჰადისებთან/სუნასთან მიმართებაში შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული, რომ გარკვეულიყო შუამავლისთვის მიწერილი სხვა ტრადიციების ბუნება. შუამავალმა თქვა, „თუ ვინმეს ქმედება ჩვენს მიერ მიუღებელია, იგი საყოველთაოდ დაგმობილი და მიუღებელი უნდა იყოს.“²⁴ შესაბამისად, ის, რაც სრულიად ავთენტურ სუნასა და ჰადისთან წინააღმდეგობაში მოდის, არ უნდა იქნეს მიღებული როგორც ჰადისი.

ჰადისების შედარებისას ირკვევა, რომ არაერთი ჰადისი ერთსა და იმავე საკითხს ეხება, მაგრამ შინაარსობრივად ურთიერთსაწინააღმდეგოა, შესაბამისად, რთული და სათუთი საკითხია, რომელიც ზუსტ გაააზრებას მოითხოვს. თუ ჰადისის სანდოობა უარყოფილია იმის გამო, რომ იგი სხვა ტრადიციას ეწინააღმდეგება, მაშინ მისი იგნორირებისთვის ძლიერი არგუმენტი უნდა არსებობდეს. ზოგადად, ჰადისსა და სუნას შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, სუნას ენიჭება უპირატესობა.

მაგალითად, მუსლიმის ერთ-ერთი ჰადისი გადმოგვცემს: ყველაფერი წინასწარ გასაზღვრული გეგმის მიხედვით ვითარდება, ადამიანის სარჩოს გაზრდა და სი-

²⁴. Al-Bukhari, Muammar ibn Ismail, Sahih (Beirut: Dar Ihya' al-Turath al- Arabi, 1400 ah), vol.4, "Kitab al-Itisham bi al-Sunnah," Bab no. 20.

ცოცხლის გახანგრძლივების შესაძლებლობა არ არსებობს. ამიტომ შუამავლის რჩევა იყო, არ შევედრებოდნენ სიცოცხლის გახანგრძლივებასა და შემოსავლის გაზრდასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება სხვა ჰადისებს, რომლებიც მაღალი ავტორიტეტის მქონე ანას იბნ მალიქის მიერაა გადმოცემული, მისი მიხედვით შუამავალი თავისი მიმდევრისთვის სარჩოს გაზრდას და მრავალი შვილის წყალობას ევედრებოდა.²⁵ ამ ორ სუნას შორის კომპრომისი შეუძლებელია, თუმცა ჰირკელი უბრალოდ ნათქვამია (ჰადისი), მიწერილი შუამავლისთვის, ხოლო მეორე ნარატივი შუამავლის პირადი პრაქტიკაა (სუნა).

თავი მეხუთე

ჰადისის ავთენტურობის გონივრული დასაბუთებით დადგენა

აზროვნება ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს.²⁶ ეს ძალა ადამიანს დედამიწაზე ყველაზე მაღალ პოზიციაზე აყენებს და მისი სწორი გამოყენებით მას ადამიანობას უნარჩუნებს.²⁷ ყურანი ადა-

²⁵. Muslim, vol.8, "Kitab Fadail al-Sahabah," hadith nos. 6322–6326; alBukhari, vol.4, "Kitab al-Daawat," hadith no. 6344.

²⁶. ყურანი - 2:170.

²⁷. ყურანი- 2:30—38, 21:10

მიანის ინტელექტუალურ ძალას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ჭეშმარიტი რწმენა და კეთილი საქმეები მხოლოდ საღი გონებით მიიღწევა. ღმერთის ყოველმა შუამავალმა მათ შესაბამის ხალხებს საღვთო გზავნილის გათავისებისკენ მოუწოდა მათი განსჯის უნარზე დაყრდნობით. თუ ინტელექტუალური აზროვნება ყურანის გაგების საშუალებაა, ის ასევე უნდა იყოს ჰადისის ლიტერატურის არსები ჩანცდომის საშუალება.

ამ კონტექსტში, აზროვნების კრიტერიუმი არ შეიძლება განისაზღვროს როგორც უბრალო ინტელექტუალური უნარი, იგი ასევე არის „საღი გონება“ ან „საღი აზროვნება“, რომელიც დაფიქრების უნარია და მართულია ღმერთის შეცნობის, სამართლიანობის, პატიოსნების, ზომიერებისა და გულწრფელობის ისლამური პრინციპებით. ეს პრინციპები ეხება ალ-ბუხარის, მუსლიმის და სხვათა მიერ ჩანცერილი ცნობილი ჰადისის გააზრებას, რომლის თანახმადაც განკითხვის დღეს ადამიანების შეწყნარებისთვის შუამდგომლობის პატივი და ძალა მხოლოდ შუამავალ მუჰამადს ექნება. მაგრამ ჰადისში ოთხი გამოჩენილი შუამავლის (ადამი, ნოე, აბრაამი და მოსე) შესახებ ნათქვამია, რომ წარსულში მათ მიერ ჩადენილი ცოდვების გამო, ისინი მოკლებულნი არიან ალაჰის ამ წყალობას. ჰადისი ასევე არ აღიარებს იესოს უფლებას, რომ დაეხმაროს ხალხს, და გადმოგვცემს, რომ შუამდგომლობის პრივილეგია მხოლოდ მუჰამად შუამავალს აქვს.

ამ ჰადისში საუბარია ადამის მიერ აკრძალული ხი-

ლის ჭამით ჩადენილ ცოდვაზე, მაგრამ მის შემთხვევაში ასე არ უნდა იყოს, რადგან მან მოინანია და ალაპმა მას შეუნდო. ნოე ახსენებს შეცდომას, როდესაც მისი ხალ-ხის წინააღმდეგ ილოცა, თუმცა ეს რეალურად არ იყო ცოდვა. სინამდვილეში, ის ლოცვით შესთხოვდა ალაპს დახმარებოდა მას დედამიწაზე მშვიდობისა და სამარ-თლიანობის დამყარებაში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი კი საზოგადოებაში ანტისოციალური ელემენტე-ბის განადგურება იყო. მისმა ლოცვამ რეალურად კა-ცობრიობა გადაარჩინა. რაც შეეხება აპრამს, თავად ღმერთი მოიხსენიებს მას, როგორც „სიმართლის კაცს.“ მოსეს ცოდვად მის მიერ ჩადენილი მკვლელობაა ნახსე-ნები, რომელიც მანამდე ჩაიდინა, სანამ მოციქულის სტატუსს მიიღებდა, თუმცა მოსემ ადამიანი შემთხვევით მოკლა და არა განზრახ. შესაბამისად, არ შეიძლებოდა მისი დადანაშაულება მას შემდეგ, რაც შუამავლად შე-ირჩა. შუამდგომლობასთან დაკავშირებული ეს ჰადისი აშკარა მაგალითია შუამავლის განდიდებისა ალაპის სხვა მოციქულებისთვის მიგებული ჰატივის დაკნინების ხარ-ჯზე.

კიდევ ერთი ჰადისი, ჩანწერილი მუსლიმისა და ალ-ბუხარის მიერ, ხაზს უსვამს ქალების ინტელექტუალურ და რელიგიურ არასრულფასოვნებას მამაკაცებთან შე-დარებით. მაგრამ საღი აზრი, ყურანის პრინციპების გა-მოყენება და შუამავლის მოღვაწეობა უპირობოდ ადას-სტურებს ამ ჰადისის სიყალბეს. ამ თავში გულდასმით მოწმდება 11 ჰადისი ადამიანის საღი აზრისა და ლოგი-კის ძალის გამოყენებით. ჰადისის ტექსტი ასახავს მის

ბუნებასა და იმას, თუ რამდენადაა ის მისაღები. ყურანით ხშირად განცხადებულია, რომ ადამიანის აზროვნება სანდო კრიტერიუმია ჭეშმარიტების სიცრუისგან გასარჩევად. შესაბამისად, მეცნიერებმა და ნებისმიერი წარმომავლობისა და ცოდნის მქონე და სტუდენტებმა ჰადისის ლიტერატურაში სიმართლე თავიანთი აზროვნებით უნდა აღმოაჩინონ.

მექანიკური თავი

დადგენილი ისტორიის მიხედვით ჰადისის ავთენტურობის განსაზღვრა

ამ თავში დადგენილი ისტორიის კრიტერიუმი წინაპლანზეა წამოწეული ჰადისების ტექსტებში არსებული ისტორიული განზომილებების განსაზღვრისათვის. ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანია და მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი საგანმანათლებლოა. ისტორია უნდა იყოს გზამკვლევი, რათა დაეხმაროს კაცობრიობას გამოასწორონ წარსულის შეცდომები და ისტორიაში საუკეთესო მიღწევები გახდეს შთაგონების წყარო. ყურანი ისტორიას მასწავლებლის როლით წარმოაჩენს. ჰადისის ლიტერატურა ბევრ ისტორიულ ჩანაწერს მოიცავს - იმ თემების ჩათვლით, რომლებიც უშუალოდ ისტორიას ეხება. როდესაც ჰადისი დადგენილ ისტორიასთან ეწინააღმდეგება, მაშინ ეს ჰადისი, მის გადმომცემთა ჯაჭვის

ავთენტურობის მიუხედავად, საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს.

ისტორიული ავთენტურობის შემოწმებისათვის შესაძლებელია ჰადისების შედარება დადგენილ ისტორიას-თან, რომელიც ეხება ცნობილ ბრძოლებს, ისტორიულ ჩანაწერებს, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს, დროში თანმიმდევრობას და ა. შ. შესაძლებელია პირიქითაც ხდებოდეს - ავთენტური ჰადისები იყოს ისტორიული ინფორმაციის ვალიდური წყაროები და მათზე დაყრდნობით გასწორდეს დადგენილი ისტორია. ავთენტური ჰადისები ხშირად ისტორიული ჩანაწერის წყარო.

მაგალითად, მუსლიმს შუამავლის გარდაცვალების ორი განსხვავებული ასაკი აქვს ჩანერილი (65²⁸ და 63²⁹ წელი). მისი ეს გადაწყვეტილება ამ ტრადიციების გადმომცემთა ჯაჭვის თვალნათლივ ავთენტურობას ეფუძნება. თუკი ის ტექსტს კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტებთან შეაჯერებდა, მაშინ უეჭველად მხოლოდ ერთს შეიტანდა თავის ნაშრომში. სხვა მკვლევარები შუამავლის გარდაცვალებისას მის ასაკად 63 წელს ყველაზე ავთენტურად მიიჩნევენ.³⁰

ასევე, მუსლიმის ნაშრომის მიხედვით შუამავალი სამოციქულო მისით აღჭურვის შემდეგ 15 წელი დარჩა მექაში, ხოლო ჰიჯრის შემდგომი 10 წლის მანძილზე მე-

²⁸. Muslim, vol.8, “Kitāb al-Faḍīl,” hadith no. 6055

²⁹. Ibid., hadith nos. 6049–6052.

³⁰. Al-Nawawi, Muhy al-Din, Al-Minhaj: Sharh Sahih Muslim (Beirut: Dar al Marifah, 1997), vol.8, p.102. Ibn Sad, Al-Tabaqat al-Kubra (Beirut: Dar Ihya al-Turath al-Arabi, 1996), vol.2, part 2, p.404.

დინაში იმყოფებოდა.³¹ მუსლიმის მიერ ჩაწერილ სხვა ვერსიაში შუამავალი მექაში 13, ხოლო მედინაში 10 წელი იმყოფებოდა.³² მუსლიმის ჩანაწერები ენინააღმდეგება დადგენილ ისტორიას, ხოლო ალ-ბუხარისა - არა. რეალურად, ლვთის შუამავლის მისით აღჭურვის შემდეგ იგი მექაში 13, წელი ხოლო მედინაში ჰიჯრის შემდეგ 10 წელი იმყოფებოდა.³³

თავი მეშვიდე

ჰადისის ავთენტურობასთან დაკავშირებული ზომიერება

ამ თავში მოცემულია ჰადისის სანდობის განსაზღვრის სხვა კრიტერიუმი: ზომიერება. ისლამი ზეგარდმოვლენილი იყო, როგორც ცხოვრების დაბალანსებული გზა. შესაბამისად, მისი წესები და რეგულაციები ბალანსის ანარეკლია ყველა სფეროში. ამგვარად, ნებისმიერი რამ, რაც ისლამს მიეწერება, მაგრამ იკვეთება, რომ გადაჭარბებულ ან გაზვიადებულ ხასიათს ატარებს, არ არის ჭეშმარიტი რწმენის ნაწილი. ამიტომ შუამავლის მიმდევრებისგან არის მოლოდინი, რომ ისინი ზურგს შე-

³¹. Muslim, vol.8, "Kitab al-Fada'il," hadith no. 6053.

³². Ibid., hadith no. 6050.

³³. Ibn Abd al-Barr, Yusuf ibn Abd Allah, Al-Istiab fi Marifat al-Shab (Beirut: Dar al-Kutub al-

აქცევენ გადაჭარბებულ მატერიალიზმს და ასევე გადაჭარბებულ სულიერებას. ცხოვრების ერთ ასპექტში არსებული დისბალანსი გამოიწვევს სხვა ასპექტის დარღვევასაც.

ყურანი ადამიანს ყველა სიტუაციაში ზღვარის დაცვისაკენ მოუწოდებს. შუამავალი ექსტრემიზმს თავს არიდებდა და თავის მიმდევრებს ურჩევდა ცხოვრებაში სამართლიანი და ზომიერების დამცველნი ყოფილიყვნენ. მისი ყველა სწავლება, ქმედება და მოწოდება ზომიერების ნიმუშია.³⁴ შესაბამისად, შუამავლისთვის მინერილი ნებისმიერი რადიკალური ქცევა ან გამონათქვამი, მცდარი ან გაყალბებულია.

მაგალითად, შუამავალი ქადაგებდა დაბალანსებული მეთოდის დაცვას სავალდებულო და ნებაყოფლობითი ლოცვების (სალაჰ) შესრულებისას დახარჯული დროისა და ენერგიის თვალსაზრისით. შესაბამისად, ჰადისები, რომლებიც უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს, საეჭვო იქნება, და აქ მოყვანილები - სუსტი ნარატივების ჯაჭვის თვალსაზრისით. საერთო ჯამში, მათი არათანაშეზომილი ბუნების შემთხვევაში, ჰადისები უარყოფილი უნდა იყოს.

ყურანის მსგავსად, ჰადისებიც აუწყებს ადამიანს ჯილდოს შესახებ კარგი ქმედებისთვის და სასჯელის შესახებ - ცუდი ქმედებისთვის. ყურანი ასეთ ინფორმაცი-

Ilmiyyah, 1995), vol.1, p.143, 147.

³⁴. ყურანი- 25:63—74.

ას ზოგადი ფორმით გადმოსცემს, რომლის თანახმად, ჭეშმარიტების უარყოფა გამოიწვევს საშინელ ტანჯვასა და დამცირებას, ხოლო ალლაპის მორჩილებისთვის გულუხვი ჯილდო გაიცემა განკითხვის დღეს. ჰადისის ლიტერატურა, მეორე მხრივ, ჯილდოსა და სასჯელის შესახებ დეტალებს შეიცავს, ზოგჯერ გაზვიადებულს. მაგალითად, ჰადისის სწავლულებმა მხოლოდ ტექსტის საფუძველზე დაადგინეს შემდეგი ჰადისების სიყალბეჭერა:

ის, ვინც დაწოლამდე კონკრეტულ დუ'ა'ს კითხულობს, 700 000 ანგელოზის მიერ იქნება განდიდებული; ის, ვინც დაწოლამდე ღმერთის სადიდებელ სიტყვებს წარმოთქვამს, ისეთივე უცოდველი იქნება, როგორც ქვეყანაზე მოვლენის დღეს იყო; ერთი საათი ფიქრი 60 წელ თაყვანისცემაზე უკეთესია, და ა. შ. ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ შუამავლის მოძღვრებისთვის გაზვიადებები უცხოა.

თავი მერჩე

ალ-ბუხარის ნაშრომის ერთი თავი ბედისწერის განსაზღვრის შესახებ: შეფასება და ინტერპრეტაცია

ეს თავი ალ-ბუხარის ნაშრომის ერთი კონკრეტული თავის რეინტერპრეტაციას და მის შესახებ დისკუსიას ეყრდნობა. ეს არის „ქითაბ ალ-კადარ“ (თავი ბედისწერის/წინასწარ დადგენილის შესახებ). ეს 27 ჰადისი მარ-

ტივად მხოლოდ კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით არ შეიძლება შეაფასო. ისინი ცალკე უნდა იყოს განხილული სხვადასხვა კუთხით და ფსიქოლოგიური პერსპექტივის მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ ამ საკითხს ღრმა ზეგავლენა აქვს მუსლიმების ფსიქიკაზე.

ალ-ბუხარის ნაშრომი „ალ-ჯამი‘ ას-საჰაზ“ ჰადისების ყველაზე ცნობილ და პატივდებულ კრებულად ითვლება და ასევე ბევრის მიერ მიიჩნევა ყურანის შემდეგ ყველაზე სანდო წიგნად.³⁵ ამ წიგნმა მუსლიმებთა აზროვნებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მას აურაცხელი მკითხველი ჰყავს და მთელ მუსლიმურ სამყაროში იმოწმებენ, როგორც ისლამური სამართლის წყაროს. მისი ერთ-ერთი თავი ბედისწერის შესახებ ადამიანისთვის წინასწარ განერილი ბედისწერის კონცეფციას ეხება, რომელშიც ადამიანის ცხოვრება, ასევე მისი საბოლოო სამყოფელი წინასწარაა განსაზღვრული, მის დაბადებამდეც კი. ადამიანის პასუხისმგებლობის გარკვევისათვის, ეს ჰადისები მუსლიმისთვის უმნიშვნელოვანესია და გულდასმით შესწავლას საჭიროებს. ქვემოთ შერჩევითაა მოყვანილი მაგალითები.

ბედისწერის შესახებ დებატები მუსლიმურ სამყაროში ისლამის პირველივე საუკუნიდან მოყოლებული არსებობს. ამ თეორიის მხარდამჭერი მთავარი არგუმენტები ეფუძნება როგორც ყურანის გარკვეულ აიებს, ისე ზოგიერთ ჰადისს, რომლებიც ალ-ბუხარის შეტანილი

³⁵. Ibn Hajar, Hadiyy al-Sari (Riyadh: Dar al-Salam, n.d.), pp.12–14.

აქვს „ქითბბ ალ-კადარ“-ში. საყოველთაო შეხედულებით, იგი სკრუპულოზურად იკვლევდა მის მიერ შერჩეული ჰადისების ისნადს (ჯაჭვის) სანდოობას. მისი კრიტერიუმის თანახმად, ჰადისები, რომლებიც „ქითბბ ალ-კადარშია“ ნახსენები, დამარწმუნებლად სანდოა. თუმცა, ტექსტუალური შინაარსის კუთხით ამ 27 ჰადისთან დაკავშირებით კითხვები არსებობს.

ზოგადად, ჰადისის კომენტარებში ხუთი მეთოდოლოგიური კომპონენტი ვლინდება: გადმომცემთა ჯაჭვი; ჰადისის გზავნილი; ჰადისის სრულყოფილი სახით წარმოსადგენად სხვა წყაროების მონაცემები. ჰადისის კონკრეტული წარმომავლობა; მკვლევრის კერძო შეხედულება სხვათა ხედვების მიღების ან უარყოფის შესახებ.

სწავლულები ამ თავის - „ალ-კადარ“ - საკითხს სხვადასხვა გზით განსაზღვრავენ, მათ შორისაა: ძალაუფლება; ადამიანის შესაძლებლობები; ღმერთის უკიდეგანო ძალაუფლება; ალაპის ბრძანება; წინასწარ განსაზღვრა და საღვთო სამსჯავრო. მკვლევარი ჰამზა მუჰამ-მად კასიმი მას განსაზღვრავს, როგორც რაიმეს შესახებ ალლაპის ცოდნას სანამ ეს მოვლენა მოხდება,³⁶ ხოლო იბნ ტახმითა მის ორი განზომილებას გამოკვეთს: ღმერთის მარადიული ცოდნას თავისი ქმნილების მომავალი ქმედებებსა და ადამიანთან დაკავშირებით ყველაფრის შესახებ; და ალლაპის ნების ძალას ყველაფერზე, მათ

³⁶. Hamzah Muhammad Qasim, Manar al-Qari (Damascus: Maktabah Dar alBayan, 1990), part 5, p.307.

შორის ადამიანის ქმედებებზე.³⁷ ყურანში სიტყვა „ალ-კადარ“, მისი ყველა ფორმით, 132-ჯერ არის გამოყენებული და მისი მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით 14-ჯერ იცვლება. ზოგიერთი მნიშვნელობები ეხება როგორც ადამიანს, ისე ღვთიურ ასპექტებს (ძალაუფლება, უფლებამოსილებით აღჭურვა) ხოლო ზოგი დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანთან (შეფასება, ბალანსი, შესაძლებლობა), ზოგიც - მხოლოდ ღმერთთან (წინასწარ განსაზღვრა, საპოლოო განკითხვა და ა. შ.).

ყურანი არ გვამცნობს ღმერთის გადაწყვეტილებას ან მის აზრს ადამიანის ცხოვრების წინასწარგანსაზღვრული დეტალების შესახებ. ლოგიკურად, წინასწარ განსაზღვრის კონცეფცია ძნელად თუ ექცევა ყურანის ჩარჩოებში. ყურანი მორალურ ჰასუსისმგებლობას ადამიანებსა და ჯინებს უწესებს, შესაბამისად, ადამიანის მორალური ნაზრევი და ქმედებები შეიძლება არ იყოს წინასწარ განსაზღვრული. ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური მახასიათებლები შეიძლება იყოს განხილული როგორც სრულად წინასწარგანსაზღვრული.

სწავლულები წინასწარგანსაზღვრის იდეას წინ წამოწევენ ყურანის აიას საფუძველზე: „თუმცა ალლაჰმა გავაჩინათ თქვენც და რასაც თქვენ აკეთებთ“ (ყურანი - 37/96). მუსლიმთან არსებული ჰადისის საფუძველზე, იბნ ჰავარი ამტკიცებს, რომ ამ აიას მიხედვით, ადამია-

³⁷. Ibid.

ნის სიცოცხლე ყველა მისი დეტალით წინასწარ განსაზღვრულია.³⁸ თუმცა, ეს აია არ გვამცნობს ადამიანის ქმედებების შექმნის შესახებ, არამედ იგი შუამავალ აბრამის მიმართვის ნაწილია თავისი ხალხისადმი, რომელიც ქვისაგან და ხისგან დამზადებულ კერპებს ეთაყვანებოდნენ. ამ კონკრეტული აიას იზოლირებულად, მისი კონტექსტიდან მოწვეტილად წაკითხვა არასწორია, იწვევს გაურკვევლობასა და არასწორ ინტერპრეტაციას.

დედის მუცელში ყოფნისას ადამიანის ბედის განსაზღვრა

აქ შეფასებულია „ქითაბ ალ-კადარის“ პირველი ჰადისი. ‘აბდ ალლაჰ იბნ მას’უდი იმონმებს შუამავლის სიტყვებს, რომლის მიხედვით, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ დედის მუცელშია, ალლაჰისგან წარმოგზავნილი ანგელოზი წერს მის ქმედებებს, გარდაცვალების დროს, საარსებო საშუალებებს და ასევე, იქნება თუ არა იგი რწმენით დალოცვილი თუ „უვარგისი.“³⁹ ამ ჰადისის გადმომცემთა ჯაჭვი ავთენტურია და სამ მთავარ კრიტერიუმთან - ჯაჭვის უწყვეტობასთან, უმწიკვლო რეპუტაციასთან და უშეცდომოდ დამახსოვრებასთან თანხვედრაშია. ეს კრიტერიუმები დაკავშირებულია ჯაჭ-

³⁸. Ibn Hajar, Fath al-Bari (Riyadh: Dar al-Salam, 2000), vol.11, p.582

³⁹. Al-Bukhari, Sahih al-Bukhari, vol.4, Book 55, hadith no. 549.

ვთან, ხოლო ბოლო ორი (ფარული სინჯისგან თავისუფლება; ნორმიდან გადახვევის დაცულობა) ტექსტს ეხება. ამ შემთხვევაში ჰადისი (მისი სრული ტექსტით) ადამიანის ემბრიონულ პერიოდს ჩვიდმეტი კვირით განსაზღვრავს და არა ორი კვირით, როგორც ეს მეცნიერულად არის ცნობილი. შესაძლებელია გადმოცემაში არსებული ტერმინები გამოხატავს ჩამოყალიბება-განვითარების პერიოდს და არა ემბრიონულ პერიოდს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურანის აიები (ყურანი-23:13-14) ზუსტად შეესაბამება თანამედროვე ბიოლოგიას, შეუამავლის ხანებში მიკროსკოპებისა და სხვა ხელსაწყოების არარსებობის მიუხედავად. რაც შეეხება ბუხარის ამ კერძო ტრადიციას, ყველაზე სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი გადმომცემი ადამიანის ემბრიონის განვითარების ხანგრძლივობის შესახებ გადმოცემისას შეცდა. აშკარაა, ემბრიონული პერიოდის ჩვიდმეტი კვირით განსაზღვრის შესახებ ჰადისში ჩანართი გვიანდელია, შესაბამისად, გადმოცემაში ხარვეზია ('ილლა) და ამ შემთხვევაში ჰადისი ნაკლულია.

ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ავთენტური ჰადისი მუსლიმს აქვს ჩანართი. მაშინ, როცა ალ-ბუხარი ადამიანის ბედისწერის საკითხს ჩასახვიდან ჩვიდმეტი კვირის შემდეგ განიხილავს, მუსლიმი ამისთვის ექვს კვირას ანგარიშობს.⁴⁰ რეალურად, მუსლიმის გადმოცემა ეთანხმება სამეცნიერო მონაცემებს. ასეთ

⁴⁰. Muslim ibn al-Hajjaj, Sahih (Beirut: with al-Nawawi's commentary, Dar alMarifah, 1997), vol.8, "Kitab al-Qadar," p.409, hadith no. 6668.

შემთხვევებში, როცა ორი თანაბარი სანდოობის ჰადისი ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მხოლოდ ერთი მათგანი უნდა იქნეს ავთენტურად აღიარებული. რაციონალურად რომ შეეხედოთ, მუსლიმის ჰადისი უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე ბუხარისა. მუსლიმს არ გააჩნია რაიმე შინაგანი ხარვეზი და გენური ინჟინერის თანამედროვე მიგნებებ-თან თანხვედრაშია. ალ-ბუხარისთან არსებული ჰადისი სპეციფიკურია (*შაზზ*), რადგან იგი მუსლიმთან შედარე-ბით უფრო სანდო ჩანაწერს ეწინააღმდეგება.

დაფუძნებული დამატებითი დეტალების ხსენებაზე ჰადისში, რომლებიც შეეხება ადამიანის ქმედებებს, ალ-ბუხარისეული ტექსტი ადამიანის ბედის წინასწარ გან-საზღვრას კი არ წარმოადგენს, არამედ ასახავს ღმერ-თის ყოვლისმცოდნეობას. ეს ჰადისი ეწინააღმდეგება აჰლ ალ-სუნას და კადარიტულ შეხედულებას ბედისწე-რის შესახებ, მაგრამ მხარს უჭერს მათ, რომლებიც ცხოვრების მიმართ ფატალურისტური მიდგომაა გამო-ხატული. ალ-ბუხარისეული ტექსტის მთლიანად უარყო-ფის ნაცვლად, უკეთესია განისაზღვროს ჰადისში არსე-ბული ხარვეზები და სხვა ავთენტური ვერსიების საფუძ-ველზე მოხდეს მათი შესწორება. ყურადღებიანი ანალი-ზი მკვლევრებს ტექსტის დაზუსტებაში დაეხმარება, რომელშიც შეიძლებოდა ნაგულისხმევი ყოფილიყო, რომ ადამიანის ბედისწერა ჩასახვიდან 42 დღის შემდეგ იღებს სათავეს და სიცოცხლის ხანგრძლივობას, ქმედე-ბებს, საარსებო საშუალებებს და ხასიათს ღმერთი გან-საზღვრავს. ადამიანის ცხოვრების დასასრულამდე ოდ-

ნავ ადრე ბედისწერა (ალ-ქითაბ) წამოეწევა და იგი ინ-
ყებს ყველაფერ იმის კეთებას, რაც მას საბოლოო ჯამში
სამოთხეში მოახვედრებს. ეს მიღვომა შეესაბამება მეც-
ნიერულ ცოდნას, რომლის თანახმადაც განვითარების
პირველი ექვსი კვირა საკვანძოა.

ჰადისის ბოლო ნაწილში ლაპარაკია ბედისწერის
ადამიანზე დომინირებაზე, რომლის წყალობითაც იგი
დაიმსახურებს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მოხვედრას.
უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ბედისწერა ნიშნავს
სწორი და არასწორი მიმართულებით ცხოვრების წარ-
მართვის ზოგად წესებს, ჯილდოსა და სასჯელს ადამია-
ნის ცხოვრებაში. სწორი და არასწორი მიმართულების
არჩევა დამოკიდებულია, საჭიროებიდან გამომდინარე,
ადამიანზე. ყურანში ვკითხულობთ „...თუმცა ამით ალ-
ლაჰი საგონებელში ჩააგდებს ბევრს. მხოლოდ მეამბოხე
ცოდვილებს უბნევს გზაკვალს“ (ყურანი-2:26). ადამიან-
ზე ბედისწერის დომინირება ნიშნავს, რომ ადამიანის
ცხოვრება ღვთისმოსაობისა და ავისმქნელობის მარადი-
ული ღვთიური წესით არის მართული.

სხვების უფლებების მიტაცების აკრძალვა

ალ-ბუხარისთან არსებული ერთ-ერთი ჰადისი მუს-
ლიმ ქალებს მოუწოდებს მიენდონ ღმერთს და ეძიონ მი-
სი დახმარება ქორწინებაში. არავის აქვს იმის მიტაცების
უფლება, რასაც სხვა ფლობს, მაგრამ სწორად უნდა
იმოქმედოს იმისათვის, რათა იპოვოს შესაფერისი საქ-

მრო: „შუამავალმა თქვა: არც ერთი ქალი არ უნდა ნატ-რობდეს თავისი დის განქორწინებას, როგორც ცარიელ ჯამს, იმისათვის რომ, დაგეგმოს საკუთარი ქორწინება, რადგან იგი მაინც მიიღებს იმას, რაც მისთვის განსაზ-ლვრულია.“⁴¹ ეს ჰადისი გამოიყენებოდა ისტორიის მან-ძილზე და გამოიყენება დღესაც, ქალებისთვის შესაფე-რისი ქმრების ნაკლებობის გამო თანამედროვე საზოგა-დოებაში, რაც დასაქორწინებელ და დაქორწინებულ ქა-ლებს შორის ეჭვიანობის პრობლემის წარმოქმნას იწ-ვევს. საზოგადოებაში ადამიანების თავისუფალი კავში-რები წარმოქმნის არამყარ ურთიერთობებს, განქორწი-ნება ხდება საბოლოო შედეგი ქალისთვის, რომელსაც ახალი შესაძლებლობა ეძლევა. ეს ჰადისი თანაბარწი-ლად ეხება მამაკაცსაც, რომელსაც შეუძლია თხოვნით მიმართოს საკუთარ ძმას, რომ ის განქორწინდეს და თა-ვისი ცოლი დაუთმოს მას. შესაბამისად, ჰადისი ავთენ-ტურია.

ყოვლის ერთადერთი მფლობელი ალლაჰია

ალ-ბუხრი’ს ეს ჰადისი და სხვა მაღალი სანდოო-ბის მქონე გადმომცემები ამტკიცებენ, რომ ყოველივე ხდება ამისთვის წინასწარ განსაზღვრულ დროში და რომ „რასაც ღმერთი გასცემს ან უკან იბრუნებს, მხოლოდ მას ეკუთვნის.“⁴² ამ ჰადისის მიხედვით, შუამავალს მისმა

⁴¹. Al-Bukhari, Sahih, vol.4, “Kitab al-Qadar,” p.209, hadith no. 6601.

⁴². Al-Bukhari, Sahih vol.1, “Kitab al-Jana’iz,” p.396, hadith no. 1284; vol.4, “Kitab al-Marda,”

ქალიშვილმა აცნობა, რომ მისი ვაჟი სულს ღაფავდა და სთხოვა შუამავალს მასთან მისვლა. როდესაც მომაკვდავი ბავშვი მუხლებზე დაიწვინა, შუამავალს თვალები ცრემლით აესო და თქვა: „სიბრალური ალლაჰმა თავის მსახურთა გულებში განათავსა. ალლაჰი თავის კეთილ მსახურთ წყალობით აჯილდოებს.“ ეს ჰადისი გამოხატავს შემდეგ იდეებს: სიკუდილი გარდაუვალია; ადამიანის სიცოცხლე ღმერთს ეკუთვნის; ადამიანის სიკუდილი ღმერთის მიერ დადგენილ დროს მოხდება; მომაკვდავი ადამიანის ნათესავები უნდა იყვნენ მომთმენნი და ღმერთისგან სიკეთის მოლოდინი უნდა ჰქონდეთ; მომაკვდავი ადამიანის მონახულება მოსაწონი ქმედებაა; ალლაჰმა ადამიანი გულკეთილი შექმნა; ალლაჰი მათ გვერდითაა, ვინც სხვების მიმართ გულმოწყალეა.

შუამავლის წინასწარმეტყველებები

ჰადისი გადმოგვცემს, შუამავალის სიტყვებს, სადაც იგი ზუსტად აღნერს, თუ რა მოხდება მომავალში განკითხვის დღემდე.⁴³ გადმომცემთა ჯაჭვი სუსტი და არასანდოა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰადისი ალბუხარის მიერაა ჩაწერილი, ის არ შეიძლება ჩაითვალოს ავთენტურად.⁴⁴ ასევე, თუკი ეს მართლაც შუამავლის ნათქვამია, ამისათვის საჭირო იქნებოდა კვირები, შესაძ-

p.26, hadith no. 5655; vol.4, "Kitab al-Ayman wa al Nudhur," p.220, hadith no. 6655; vol.4, "Kitab al-Tawhid," p.379, hadith no. 7377, and p.394, hadith no. 7448.

⁴³. Al-Bukhari, Sahih, "Kitab al-Qadar," p.210, hadith no. 6604.

⁴⁴. Ibn Hajar, Tahdhib al-Tahdhib, vol.5, pp.561–562.

ლოა თვეებიც, რათა სრულად გადმოეცა მისი წინასწარ-მეტყველება, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა. ეჭვგარეშეა, რომ ეს ჰადისი გაზვიადებას წარ-მოადგენს. შუამავლის შესახებ ცნობილ ისტორიაში მის მიერ ასეთი სიტყვების წარმოთქმა არ დასტურდება. ჰა-დისის წყაროები აღსავსეა შუამავლის ამგვარი წინას-წარმეტყველებებით, რომელიც მას დამატებით უნდობ-ლობას სძენს.

ადამისა და მოსეს კამათი

ალ-ბუხარის ერთ-ერთი შეუფერებელი გადმოცემის მიხედვით, ადამმა და მოსემ იკამათეს, რა დროსაც მო-სემ მამამისს, ადამს განუცხადა, რომ სამოთხიდან ადა-მიანების განდევნის მიზეზი ის იყო.⁴⁵ ამ ჰადისის მიხედ-ვით, კამათის დროს მოსემ ადამს სახელით მიმართა. თუმცა შუამავალს საკუთარ მამისთვის სახელით მიმარ-თვა არ შეეფერება. ასევე, შვილისგან მამის გაკიცხვა არაა მოსალოდნელი. მას უნდა დაეცვა „იპსანის“ (საუ-კეთესო მოპყრობა) პრინციპი. მოსეს სიტყვები უხეშია და ღვთისმოსავი შვილისათვის ღვთისმოსავი მამის მი-მართ შეუფერებელია. ასევე, რატომ გაკიცხა მოსემ ადამი იმის გამო, რაც ღმერთმა შეუნდო? ვინაიდან მო-სეს ღვთიური გამოცხადება ზეგარდმოევლინა, იგი ადა-მის სამოთხის ბალიდან განდევნაში სატანის როლის შე-სახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყო. როგორც ღმერთი გვაუწყებს, ამ შემთხვევაში სატანას მიუძღვის

⁴⁵. Al-Bukhari, Sahih, vol.4, "Kitab al-Qadar," p.212, hadith no. 6614.

დანაშაული და არა ადამს. მაგრამ ამ გადმოცემის მიხედვით, მოსე ადანაშაულებს ადამს. ეს უცნაურია და, რა თქმა უნდა, დაუჯერებელიც.

მამა-შვილის ურთიერთობასთან დაკავშირებული პრინციპები ღმერთს უნდა ზეგარდმოევლინა ყველა თავისი შუამავლისთვის. ყოველ შემთხვევაში, „იჰსინის“ კონცეფცია უკვე არსებობდა მოსეს კანონებში და სწორედ მის საფუძველზე გვარდებოდა ამგვარი ურთიერთობები. მოსეს მიერ ადამის გაკიცხვის გამართლებისათვის, შესაძლოა მავანმა დაიმოწმოს ყურანის მე-19 სურის 41-48 აიები, რომლებშიც შუამავალი აბრაამი ასევე ეკამათება თავის მამას. ამასთანავე, მოსემ გაკიცხა ადამი იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას უკვე შენდობილი ჰქონდა, მაშინ როცა აბრაამს საკუთარი წარმართი მამა არ გაუკიცხავს კერპთაყვანისცემლობისათვის, არამედ დაუინებით შესთხოვდა მას კერპთაყვანისმცემლობის მავნე პრაქტიკისგან განდგომას. გაკიცხვა და დარწმუნება ორი განსხვავებული რამეა. უფროსთა გაკიცხვა არასასურველია, მაგრამ უფროსთა დარწმუნება, რომ საჭიროა არასწორი ქმედებაზე უარის თქმა, მეტად მოსაწონი საქციულია.

ალლაპის ექსკლუზიური უფლებები

ალ-ბუხარისთან არსებული ჰადისი გადმოგვცემს, შუამავალის სიტყვებს, რომელიც მან ლოცვის შემდეგ წარმოქვა: „არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაპისა, მას

თანაზიარი არ გააჩნია; ო ალლაჰ! შენი წყალობის შეჩე-
რება არავის შეუძლია; არავის შეუძლია მისი დაბრუნება,
რაზეც შენ უარი თქვი; შენს წინააღმდეგ წასვლა არავის
შეუძლია.⁴⁶ ამ ჰადისის ალ-ბუხარის ვერსიის გადმომ-
ცემთა ჯაჭვი დიდად სანდოა. შუამავლის მიერ ლოცვის
დასრულებისთანავე ამ მყისიერად ნათქვამის დამოწმება
სერიოზული შეხსენებაა იმის შესახებ, რომ ალაჰის პო-
ზიცია ადამიანთან მიმართებაში არ უნდა იქნეს დავიწ-
ყებული. სხვა სარწმუნოებათაგან განსხვავებით, ისლამ-
ში ალლაჰის ატრიბუტები კრისტალურად მკაფიოა. თუ
სხვა საღვთო წიგნებში დროდადრო მას ადამიანი უპი-
რისპირდება, ისლამი მუსლიმებს ასწავლის, რომ არასო-
დეს უნდა წავიდნენ ღმერთის წინააღმდეგ; იგია ყოვ-
ლისშემძლე და ყველაფერი ცათა შინა და დედამიწასა
ზედა მხოლოდ მას ეკუთვნის. ეს ჰადისი ხაზს უსვამს
რომ ალლაჰს ძალუძს თავისი წყალობის როგორც გაცე-
მა, ისე აღკვეთა. შესაბამისად, იგი ავთენტურადაა მიჩ-
ნეული.

ეპიდემიით გამოწვეული ტრაგიკული სიკვდილი

შუამავალს თავისმა ცოლმა, ‘ზიშამ, შავი ჭირის შე-
სახებ ჰკიოთხა. გადმოცემის მიხედვით, შუამავალმა უპა-
სუხა: „ეს იყო განსაცდელი, რომელისაც ალლაჰი იმ ჰი-
როვნებას მოუვლენდა, რომელსაც თავად ისურვებდა. მაგრამ ალლაჰმა ახლა იგი მორწმუნეთათვის წყალობის

⁴⁶. Ibid., p.212, hadith no. 6615.

ნყაროდ შექმნა. ის ვინც შავი ჭირით ინფიცირებულ ქალაქშია, ითმენს და მას არ ტოვებს, რადგან ღმერთის ჯილდოს იმედი აქვს; მან იცის რომ არაფერი არ მოხდება თუ ღმერთს მისთვის წინასწარ განზრახული არ აქვს, ასევე მან იცის ის, ვინც მოკვდება შავი ჭირით იგი ღმერთის გზაზე გარდაცვლილი იქნება.⁴⁷ ამ ჰადისის ყველა გადმომცემი მეტად სანდოა და მისი ტექსტი ისლამის პრინციპებთან თავსებადია.

ისლამი თავის მიმდევრებს ნებისმიერ სიტუაციაში მოთმინებას ურჩევს. ეპიდემიამოდებული ქალაქი ხშირად გარე სამყაროსგან მოწყვეტილია და კარანტინის ქვეშაა, სადაც შესვლა არ შეიძლება და მისი დატოვებაც აკრძალულია. შესაბამისად, ხალხი სასიკვდილო დაავადების შიშის ქვეშ ცხოვრობს, მაგრამ მხოლოდ ღმერთს შესწევს ადამიანების უბედურებისგან გადარჩენის ძალა. მუსლიმებს სწამთ, რომ ადამიანის სიკვდილი გარდაუვალია, მაშასადამე, ქალაქიდან, სადაც დაავადებაა გავრცელებული, გაქცევა არ ნიშნავს სიკვდილისგან თავის დაღწევას. შუამავლის ეს ჰადისი შეახსენებს მორნმუნებს, რომ მიენდნონ ალლაპს და არ დაივიწყონ, რომ ის სიკვდილისა და სიცოცხლის ერთადერთი განმკარგველია. ის, ვინც შავი ჭირის დროს მოთმინებას გამოიჩინს და ღვთის წყალობის მოლოდინით გარდაიცვლება, მის მიერ განცდილი ტაჯვის სანაცვლოდ განკითხვის დღეს დაჯილდოვდება. თუმცა, ეს ჰადისი ბუხარის მიერ შემოთავაზებულ თემას არ მიესადაგება და დიდმა კომენტა-

⁴⁷. Ibid., p.213, hadith no.6619.

ტორებმაც კი ვერ გაამართლეს კონკრეტულ თავში მისი ჩართვა.

ალლაჰის ნება

ამ ტრადიციის მიხედვით, შუამავალი გადმოგვცემს, „თუ არ იქნებოდა ნება ალლაჰისა, ჩვენ არ ვიქნებოდით სწორი გზის მიმდევარი. არ გვექნებოდა ლოცვისა და მარხვის შესაძლებლობა. ო, ალლაჰ! ჩვენს გონებას მიეცი მშვიდობა და მჩაგვრელი ურნმუნების მიერჩვენს წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლაში გაგავაძლიერე.“⁴⁸ ეს პოეტური სტროფები გამოხატავს ყურანის ჭეშმარიტ სულისკვეთებას, ასევე ესება შუამავალსა და ალლაჰისამი მის გულმხულვარე ვედრებებს. ეს ჰადისი გვასწავლის თუ როგორ მივმართოთ ალლაჰს. ღმერთის დამოწმებები გამოხატავს არა მხოლოდ მავანის სურვილებს, არამედ ცხოვრებისადმი პრაქტიკული მიდგომის ფორმასაც წარმოადგენს. ყველა ადამიანს დიდი ძალის-ხმევა მართებს, რომ შეინარჩუნოს ჭეშმარიტი გზა და უნდა აცნობიერებდეს, რომ ცხოვრებას წარმართვის უფლებას ადამიანი კი არ მოიპოვებს, არამედ ეს ღმერთის მიერ გაცემული ჯილდო და დიდი პრივილეგიაა.

ღმერთმა ყურანის ზეგარდმოვლინებით უკვე აღჭურვა მთელი კაცობრიობა იმით, რაც სჭირდებოდა ცხოვრების წარმართვისთვის. ადამიანის როლი მაშინაც

⁴⁸. Ibn Hajar, Fath al-Bari, vol.11, p.640. Vol.4, "Kitab al-Qadar," p.213, hadith no. 6620.

იყო და ახლაც არის მხოლოდ კითხვა, გაგება და გამოყენება. ამისათვის ადამიანებს ღმერთმა მისცა სათანა-დო შესაძლებლობა, უნარი და განაფულობა.

ავტორი

ისრარ ხანს თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ინდოეთში ალიგარჰის მუსლიმურ უნივერსიტეტში აქვს მიღებული. ამჟამად, იგი მაღაიზიის ისლამური უნივერსიტეტის ყურანისა და სუნას კვლევების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია. მისი შესწავლის, კვლევისა და სწავლების სფერო ყურანისა და ჰადისის კვლევებია. მას ეკუთვნის სხვადასხვა ნაშრომის თარგმანი არაბულიდან ურდუ, ინგლისურ და ჰინდი ენებზე. იგი ასევე არაერთი ინგლისურენოვანი ნაშრომის ავტორია: ყურანის კვლევები: შესავალი (2000), გაუქმების თეორია: კრიტიკული შეფასება (2006), ყურანის გაგება: ფიქრები.

ისრარ ხანს საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია. ასევე საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებზე წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა მოხსენებები.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსაძეს №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი კულტურული პოლეტიკის, რომლებიც დაწერილია შემოკლებული ფორმით, რათა მაითხველმა შეძლოს ორიგინალის ძირითადი შინაარ-სის გაგება.

თანამედროვე კონალექსურ და არამდგრად მსოფლიოში ესტრუემისტული ქცევის, ძალადობრივი ფათვას გაცემის და წაგვრის ცრუ ჰადისზე დაყრდნობით გამართლება ძალგედ პრობლემური და საშიში საპი-თხია.

ისრარ ა. ხანი დეტალურად იკვლევს როგორც ცერი-ლობით, ასევე ზაპირად გადონხელულ ცრუდ შერაცხელი პალი პალისთა ისტორიულ განვითარებას. ავთორი პარიტიკებს კონკრეტული პალისების შესწავლისას გამოყენებულ მათოდოლოგიას, რომელის საფუძველზე პალისი ფართო საზოგადოებაში „ავთენტურად“ არის მიზნეული.

კლასიკოსი მავლევრების მიერ შემუშავებული კრიტერიუმის განხილვისას, ხანს მიაჩნია, რომ პალისის ტექსტის ნაცვლად მხოლოდ გადონხემთა შაჰ ვ ი ს უ ც ყ ვ ე ტ ო ბ ა ს ა დ ა ს ა ნ დ ო რ ბ ა გ ე პონცენტრირებით ისეთი პალისების ავთენტურობა განისაზღვრა, რომ ლები ც ი ც პ ი რ ე მინაალმდებარება შუამავლის მისიასა და ყურანის პრინციპებს.

პალისთა ცნობილი პრებულები, რომელიც ფლეს ჩვენ გვაქვს პალისის პრიტიკის მეცნიერების განვითარებით შეიქმნა, ხოლო მუსლიმი მავლევრები თავიანთი გულმოყმინა შრომისათვის უდიდეს დაფასებას იმსახურებან. მათ დიდი წვლილი შეითანას პალისის ლიტერატურის დაცვაში. თუმცა ხანს მიაჩნია, რომ პროცესი მიმდინარეა და პალისი ავთენ-ტურობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ პარჩაკე-ტილ კოლეტიკას სჭირდება ხელმეორედ ყურადღებით შესწავლა.

